პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა კომუნისტი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ორგანო

„ АХАЛГАЗРДА КОМУНИСТИ“ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ

გამოდის 41-ე წელს

№ 37 (6141)
სამშაბათი
27
მარტი
1956 წ.

ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლენინგრადი. აბორიგენებენ რა ხუთ XX ყრილობის გადწყვეტილებებს, ლენინის სახელობის ნევის მანქანათმშენებელი ქარხნის ტურბინმშენებლები ახალიერებენ ტუმბებს. ამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას, ორთქლისა და გაზის ტურბინების გარდა საამქროებში მზადდება ზავი და ფერადი მეტალურგიისათვის განკუთვნილი მოწყობილობა — მაერსახურები და კომპრესორები.

* * *

სურათზე: მბურღავი კომკავშირელი ევგენი რეზნიკოვი ამუშავებს ბრიმზედში ბაერის მოწოდებისათვის განკუთვნილი ხვეტრნის ჭია-ხრახნს, რომლის სიმაღლეზე იქნება 6.500 კუბიკური მეტრი წუთში.

ფოტო ვ. ფედოსეევისა (საკდესი).

სანარმოს კომკავშირული ორგანიზაცია

სადაც არ უნდა მუშაობდნენ, [illegible]ბრძოლის რიგში უბანზეც არ უნდა [illegible]წეობდნენ საბჭოთა ადამიანები, [illegible]ერთ მიზანს, ერთ დიდ საქმეს — [illegible]ბის მშენებლობას ემსახურე[illegible] კომკავშირულ ორგანიზაციებსაც, [illegible]ეურნეო იქნება იგი, საწარმოს [illegible]სწავლელების, ერთი მიზანი — აღზარდონ ახალგაზრდობა [illegible]ასტური სულისკვეთებით, სამ[illegible]ს და პარტიის ერთგულ შვილ[illegible]ამდგილ პატრიოტებად, დარაზ[illegible]სწავლასა და შრომაში ახალი [illegible]ებების მოსაპოვებლად. მიზანი [illegible] კონკრეტული ამოცანები კი [illegible]სხვა და მრავალფეროვანი, მისი [illegible]ციელების გზა და საშუალება [illegible].

[illegible]ის XX ყრილობამ შრეწველო[illegible]შაკები ახალი დიდი ამოცანების [illegible] დააყენა, ახალ ხუთწლედში [illegible] ჩვენს რესპუბლიკაში 1,6-ჯერ [illegible] გადიდდეს როგორც მთელი [illegible]ლობის, ისე რესპუბლიკური [illegible]ლობის საერთო პროდუქცია. [illegible]ერ გაიზრდება თუჯის გამოდნო[illegible]ლინის წარმოება და მარგანეცის [illegible] ამოღება 1,5-ჯერ, ქვანახშირისა [illegible]ჯერ, აზოტოვანი სასუქების წარ[illegible] 8-ჯერ, ცემენტისა — 3,1-ჯერ [illegible]ქსოვილებისა — 2,8-ჯერ და [illegible]ის შესაბამისად განუზომლად [illegible] კომკავშირული ორგანიზაცი[illegible] წარმოებაში, მან უნდა უზ[illegible]ყოს ახალგაზრდობის მასობ[illegible] დარაზმვა ახალი ტექნიკის [illegible]ისა და ტექნოლოგიური პრო[illegible]ს გაუმჯობესების გზით შრომის [illegible]ერების განუხრელი აღმავლო[illegible]ის ბრძოლაში.

[illegible]ავშირი ამას მხოლოდ მაშინ [illegible]ებს, თუ იგი ნამდვილად შემოქ[illegible]ად მოეკიდება საქმეს და არა [illegible]ურად, შაბლონურად. კომ[illegible]ული ორგანიზაცია უნდა ცდი[illegible]ს საახლე, ცეცხლი შერტანოს [illegible] საქმეში, რაგინდ ჩვეულებრი[illegible]ემნიშვნელოვნა არ უნდა ჩანდეს [illegible]ისად ვერ გაიყოლებს, ვერ [illegible]ერესებს ახალგაზრდობას.

[illegible]ქმედითი უნარი, სიახლისა[illegible]ფვა კომკავშირულმა ორგანი[illegible] პირველ ყოვლისა უნდა გამო[illegible]ს სოციალისტური შეჯიბრების [illegible]ბისას. არ კმარა ყოველი სამე[illegible]წლის დასაწყისში ვაფორმებ[illegible] სოციალისტური შეჯიბრების [illegible]ულებებს, ვქმნიდეთ ახალ[illegible] ბრიგადებს და ვიღებდეთ [illegible] ვალდებულებებს. მთავარია [illegible] ისე მოვაწყოთ, რომ ყოველ [illegible] და ქალიშვილს აღებული ვალ[illegible]ება კანონად მიაჩნდეს, შე[illegible]ბში დამარცხება — სირცხვი[illegible]ჯერ ხდება, რომ ორი ახალ[illegible] წლობით ეჯიბრება ერთმა[illegible]ამასთან ერთი მუდამ გაბარჯვე[illegible] გამოდის, წინ მიდის და იოლ[illegible]ვებას ეჩვევა, მეორე კი მუდამ [illegible]ნილია, ეგუება თავის მდგომა[illegible]ს. ასეთ შეჯიბრებას არავითარი [illegible] აქვს, ამჟამად ფორმალუ[illegible] შეჯიბრებულნი შესაფერი [illegible]ებენ“ არ არიან, მაშინ ვერც [illegible]ესა და დაინტერესებას იგრძნო[illegible]

[illegible] ისაა სწორი, ახალგაზრდებს [illegible]ად ერთმანეთს რომ აჯიბრებენ. [illegible]ენდა ეჯიბრებოდნენ უფრო[illegible] გამოცდილ ამხანაგებსაც. ამით [illegible]ბევრს ისწავლიან, გადმოიღებენ გა[illegible]მოცდილებას.

პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ საწარ[illegible]მოებში ახალგაზრდული ბრიგადების შექმნა სასარგებლო და შედეგიანია. ახალგაზრდები ეჩვევიან დამოუკიდებ[illegible]ლად მუშაობას, იზრდება მათში პა[illegible]სუხისმგებლობის გრძნობა. მაგრამ უნდა ვერიდოთ ახალგაზრდული ბრი[illegible]გადების თვითმიზნურად შექმნას. დაე იმუშაონ ახალგაზრდებმა უფროსების გვერდით, თუ ეს უფრო მოსახერხებელი და ხელსაყრელია. სოციალისტური შეჯიბრება შრომის ორგანიზაციის ერთერთი ფორმაა და იგი წარმოების პროცესების გუმჯობესებას უნდა ემსახურებოდეს და არა პირიქით.

კომკავშირის კომიტეტი სისტემატურად უნდა ამოწმებდეს სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს, აწესებდეს გარდამავალ ჯილდოებს და ატარებდეს სხვა წამახალისებელ ღონისძიებებს. მხოლოდ საქმისადმი ასეთი დამოკიდებულებით შეიძლება სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდეს.

საჭიროა საწარმოს კომკავშირული ორგანიზაცია დაუღალავად ზრუნავდეს ახალგაზრდა მუშებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამ მიზნით უნდა ჩაბას ისინი ტექნიკურ წრეებში, დაეხმაროს დაუწყრებელი უმაღლესი ტექნიკური განათლების მიღებაში. აუცილებელია კომკავშირის კომიტეტი ყურადღებას აქცევდეს აგრეთვე საწარმოში კვალიფიკაციის მიხედვით ახალგაზრდების გამოყენებას და საჭირო შემთხვევაში წინადადებით მიმართოს დირექციას.

შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ამაღლება წარმოუდგენელია ტექნიკური პროგრესის გარეშე. კომკავშირულმა ორგანიზაციამ ისე უნდა მოაწყოს საქმე, რომ თვითეული ახალგაზრდა მუშა ზრუნავდეს საწარმოს ტექნიკური აღჭურვილობის, დაზგადანადგარების წარმადობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. უნდა შთავაგონოთ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, რომ წარმოების პროცესში მანქანის რაიმე დეფექტის, ნაკლის აღმოჩენა გაცილებით ადვილია. რაც ინჟინერ-კონსტრუქტორებმა ვერ შეამჩნიეს, ის შეიძლება მუშამ დაინახოს, ამიტომ თვითეული ახალგაზრდა საფუძვლიანად უნდა იცნობდეს მანქანას, უკვირდებოდეს მის ნაკლსა და ღირსებას. უბრალო ჭანჭიკის შეცვლაც რომ შეძლოს თვითეულმა, საბოლოო ჯამში ესეც დიდ შედეგს მოგვცემს. კომკავშირული ორგანიზაცია გულისხმიერად უნდა მუშაობდეს გამომგონებლებთან და რაციონალიზატორებთან, აღმოუჩინოს მათ ყოველგვარი დახმარება.

ახალგაზრდობის აღზრდის ყველა ფორმა, კომკავშირული კრება იქნება იგი, პოლიტიკური სწავლება თუ საგიტაციო მუშაობა, ერთ მიზანს — შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას, საშობლოს ძლიერების, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი განმტკიცების ამოცანას უნდა დავუქვემდებაროთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება საწარმოს კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა საინტერესო, სისხლსავსე და ნაყოფიერი, მხოლოდ ამ გზით შეძლებს იგი მოწოდების სიმაღლეზე იდგეს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ორსულოგისა და მშობიაროების გამო შვებულების ხანგრძლივობის გადიდების შესახებ

[illegible]ედისა და ბავშვის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სსრ კავ[illegible]ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1956 წლის 1 აპრილიდან ორსულობისა და მშობიაობის გამო შვებულ[illegible]დიდდეს 77-დან 112 კალენდარულ დღემდე და დაწესდეს შვებულების [illegible]ძლივობა 56 დღე მშობიაობამდე და 56 დღე მშობიაობის შემდეგ, [illegible]ან ამ პერიოდში გაიცეს დახმარება დადგენილი წესით:

[illegible]ანორმალური მშობიაობის ან ორი და მეტი ბავშვის დაბადების შემ[illegible]ში მშობიაობის შემდეგ შვებულების ხანგრძლივობა დაწესდეს 70 [illegible]ნდარული დღე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წლის 26 მარტი.

ალექსანდრე ალიოხინის ძეგლის გახსნა პარიზში

პარიზი, 25 მარტი. (საკდესი). დღეს, გა[illegible] რუსი მოქანდაკის ალექსანდრე [illegible]ის გარდაცვალების ათი წლისთავთან [illegible]ბრებით, პარიზში მონუმენტის სასაფ[illegible] გაიხსნა ძეგლი მის საფლავზე.

[illegible] გახსნის საზეიმო ცერემონიას დაეს[illegible] სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ა[illegible], საერთაშორისო საქველმოქმედო [illegible] პრეზიდენტი ფ. როგორი (ბელ[illegible]), საბჭოთა ნოტაბილების ფელეგაცია [illegible] საქველმოქმედო ფედერაციის კომ[illegible] პრეზიდენტის დიდოსტატ ვ. რაგოზინის მეთა[illegible]ურობით, საფრანგეთის საქველმოქმედ[illegible]ციის პრეზიდენტი ბ. ბერნანი, საზოგადოებ[illegible]რიობის მრავალი წარმომადგენელი და გამ[illegible]ელებულის ნათესავები. ფეიერალური რუსი [illegible]მოქანდაკის ხელოვნებაში მიძღვნილი სიტყვე[illegible] წარმოთქვეს ფ. როგორმა, ვ. რაგოზინმა [illegible] ბ. ბერნანმ. ძეგლი შეამკეს საბჭოთა მა[illegible]ბ. ბერნანმ, საფრანგეთის საქველმოქ[illegible]ფედერაციის, საფრანგეთის საქველმოქ[illegible]ციისა და სხვა ორგანიზაციების გვირგვინებით.

დავეხმაროთ კოლმეურნეობას

კრასნოდარი. (საკდესი). ვასიუ[illegible]რინის სახელობის სკოლაში ჩატარდა კომკავშირული კრება. დღის წესრიგ[illegible]ში იდგა საკითხი: „დავეხმაროთ კოლმეურნეობას გახდეს მოწინავე“. მოსწავლეებმა კრებაზე მოიწვიეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. პ. პოკრუკი, ვასიურინის მტს-ის პარტორგანიზაციის მდივანი გ. ი. ალექსეევი და სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ვ. ა. კაბანეცი.

მეათეკლასელთა სახელით გამოვიდა ტონია დეკალი, რომელმაც განაცხადა, რომ ბევრ მოსწავლეს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გადაწყვეტილი აქვს დარჩეს მშობლიურ კოლმეურნეობაში. მერვე და მეცხრე კლასების კომკავშირელებმა გადაწყვიტეს იმუშაონ კოლმეურნეობაში და 50 ჰექტარ ფართობიდან თვითეულ ჰექტარზე 70 ცენტნერი სიმინდი მოიწიონ.

ასეთივე მუშაობა სურთ სტანიცების იმერიტინსკისა და აბხაზსკის კოლმეურნეობების 60 ჭაბუკსა და ქალიშვილს.

უფროსკლასელთა შრომის ნიგნაკები

იოშკარ-ოლა. (საკდესი). კილემარსკის რაიონის სამეურნეო არტელის „პრობუჟდენიესა“ და მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა შვილებმა, რომლებიც საშუალო სკოლებში სწავლობენ, ჩამოაყალიბეს მემინდვრეობის ორი ბრიგადა. მათ გადაწყვიტეს მოიყვანონ სელი, კართოფილი და სიმინდი. ყველა აგროტექნიკურ საქმეებს დაწყებული თესვიდან მოსწავლეები განახორციელებენ საკუთარი ძალებით. გარდა ამისა ისინი დაეხმარებიან კოლმეურნეობებს სხვა ფართობებზე გამარგვლასა და მოსავლის აღებაში.

ბრიგადებს ხელმძღვანელობენ უფროსკლასელი კომკავშირელები. შრომის წიგნაკებში, რომლებიც ბრიგადის წევრებს მიეცემათ ჩაიწერება მოსწავლეთა მიერ გამომუშავებული შრომადღეები. თვითეულმა მოსწავლემ ვალდებულება აიღო ზაფხულის არდადეგების პერიოდში გამოიმუშაოს არანაკლებ 40 შრომადღისა.

მოსწავლეთა გაზაფხულის არდადეგები

25 მარტიდან რესპუბლიკის სკოლებში დაიწყო გაზაფხულის არდადეგები. ამასთან დაკავშირებით სკოლები, კომკავშირული ორგანიზაციები, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე ახორციელებენ მთელ რიგ ღონისძიებებს, რომ მოეწყოს მოსწავლეთა შინაარსიანი საინტერესო დასვენება.

ამ დღეებში ექსკურსიები მოეწყობა საწარმოებში, გაიმართება ბავშვთა შეხვედრები წარმოების ნოვატორებთან, მეცნიერებთან, მწერლებთან, სოფლის მეურნეობის მექანიზატორებთან, მოეწყობა კოლექტიური სვლა კინოთეატრებში, მხატვრული თვითმოქმედების საღამოები.

ქალაქის პიონერთა აქტივი ექსკურსიებს მოაწყობს ქალაქ ბაქოში, ერევანში, სოხუმში, ბათუმში. უფროსი ქალების მოსწავლეებისათვის თბილისის დიდ საწარმოებში გაიმართება ღია ჯერის დღეები. ეს მათ დაეხმარება მომავალი პროფესიის არჩევაში.

თბილისის მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების ძალებით თელეთისა და კოჯრის საბავშვო სახლებში გაიმართება საშეფო კონცერტები.

არდადეგების დღეებში ყველა თეატრი, კინო, კლუბი მოაწყობს დღის სპექტაკლებსა და უჩვენებს კინოფილმებს.

გაიმართება სპორტული შეჯიბრებანი სპორტის ყველა სახეობაში პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის თასზე.

(საკდესი).

ჩაის უხვი მოსავლის ოსტატი

მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ საქართველოს მეჩაიეების წინაშე დააყენა საბრძოლო ამოცანა ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის შემდგომი გადიდების შესახებ. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა დამოკიდებულია აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის ზუსტად გატარებაზე.

მოწინავეთა გამოცდილების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებამ ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, სოციალისტური შრომის გმირს კომკავშირელ ვერა ღვინჯილიას საშუალება მისცა ჩაის სარეკორდო მოსავალი მიეღო. 10 წელზე მეტია იგი ჩაის უხვ მოსავალს ღებულობს ყოველწლიურად. შარშან მასზე გაპიროვნებული ნახევარი ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოკრიფა 5.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

იგი უხვი მოსავლისათვის ზრუნავს შემოდგომიდან იწყებს. ნოემბრის დამლევს ჩაის პლანტაციებში შეაქვს 8-10 ტონა გადამწვარი ნაკელი. პრაქტიკამ იგი დაარწმუნა, რომ შემოდგომაზე ნაკელის შეტანა ხელს უწყობს ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესებასა, გარდა ამისა, პლანტაციაში შეაქვს ფოსფოროვანი და კალიუმის სასუქის სრული დოზა, რის შემდეგ აწარმოებს პლანტაციის მსუბუქ გადაბარვას. პირველიდან 10 აპრილამდე ჩაის ბუჩქებს სხლავს შპალერულად, აძლევს მათ ნახევრად ოვალურ ფორმას, რითაც აღწევს მისი მწვანე ზედაპირის გადიდებას; გასხვლის შედეგად მიღებული ნარჩენი გააქვს პლანტაციიდან და სწვავს.

სახელოვანი მეჩაიე განსაკუთრებული ყურადღებითა და სიფრთხილით ეკიდება ნიადაგის განაყოიერებას აზოტოვანი სასუქებით. პირველი დოზა ჰექტარზე 800 კილოგრამის რაოდენობით შეაქვს აპრილის მეორე ნახევარში და მაშინვე ჩათხრნის, ხოლო მისში და ივნისში პლანტაციაში შეაქვს აზოტოვანი სასუქის მეორე და მესამე დოზა და კვლავ თოხნის. ამას გარდა ახალგაზრდა მეჩაიე მაისში ბუჩქებს დამატებით კვებავს წუნწუხით. მორწყვის შემდეგ აფხვიერებს ნიადაგის ზედაპირს, რათა არ წარმოიქმნას ქერქი.

სათანადო ყურადღებას აქცევს ჩაის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლას, რისთვისაც დროულად აწარმოებს პლანტაციების შეწამლვას.

ჩაის მოსავლიანობის გადიდებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფოთლის წესიერ კრეფას. ვერა ღვინჯილია კრეფს მხოლოდ შემოსულ დუყებს. მან იცის, რომ ზრდადაუსრულებელი ყლორტების კრეფა იწვევს ბუჩქების დასუსტებას და ამცირებს ახალი დუყების წარმოქმნას. კრეფას აწარმოებს განუწყვეტლივ, რათა შემოსული ფოთოლი არ გაუხუნდეს. ვ. ღვინჯილია კარგად არის დაუფლებული კრეფის ტექნიკას. ფოთოლს ორივე ხელით კრეფს. ხელის თითები ისე აქვს გაფაჯარებული, რომ სწრაფად არჩევს შემოსულ და შემოჯიშებული, რომ სწრაფად არჩევს შემოსულ და შემოუსვლელ ჩაის ფოთოლს. ამით აიხსნება, რომ იგი ყოველდღიურად 3-4 ნორმას იძლევა და კრეფის აგროწესების ოდნავი დარღვევაც არა აქვს.

სახელოვანი მეჩაიე მომდინარე წელს კიდევ უფრო ენერგიულად იბრძვის უხვი მოსავლის მისაღებად. საგაზაფხულო სამუშაოები აგროტექნიკურ ვადებში შესრულა. მისი ვალდებულებაა წელს ნახევარი ჰექტარიდან მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩაბაროს 7.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ნ. კუბანავა.

პარტიის XX ყრილობის დირექტივებით

გუბკინი — მეექვსე ხუთწლედის ქალაქი —

ჯერ კიდევ ახლახან უდაბური და უკაცრიელი იყო ნაპირები მდინარე ტოპლი კოლოდეზისა, რომელიც მოკლე გზით მიდინებდა უძველესი რუსული ქალაქის სტარი ოსკოლის დასავლეთით და თავის წყალს უერთებს მდინარე ოსკოლღუს. მოტიტვლებულ ბორცვებზე მხოლოდ აქა-იქ იყო აღმართული ცალკეული ჭაბურღილები.

პირველი შახტების მშენებლობა, რომელიც სოფელ კორობკოვის რაიონში დაიწყო, ომის გამო შეწყვეტილ იქნა მხოლოდ 1952 წელს ამოიღეს აქ პირველი მადანი.

პატარა მაღაროს ირგვლივ, სადაც სამუშაო ექსპერიმენტული ხასიათისა იყო და ერთგვარი გამოცდილების მიზნით ტარდებოდა, ახლა ახალი შახტები შენდება. ამ შახტებს მაზლობლად (ყურსკ-ბელგოროდის რაიონის საბადო) აშენდა მეშახტეთა დაბა. ახლახანს იგი ქალაქად გადაკეთდა და გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის აკადემიკოს ი. მ. გუბკინის სახელი ეწოდა.

ახალგაზრდა ქალაქი გუბკინი ჯერ არ არის აღნიშნული გეოგრაფიულ რუკებზე, მაგრამ აქ უკვე იგრძნობა სიხხლსავსე ცხოვრება. სწრაფი ტემპით შენდება საცხოვრებელი სახლები, კულტურულ დაწესებულებათა და საყოფაცხოვრებო საწარმოთა შენობები. მარტო სახინო-ლოზუნალური და კულტურული მშენებლობისათვის ახალ ხუთწლედში მთავრობის მიერ ასიგნებულ იქნა 100 მილიონზე მეტი მანეთი — ორჯერ მეტი, ვიდრე დაიხარჯა უკანასკნელ ხუთწლედში.

ქალაქში არის შვიდწლიანი და ორი საშუალო სკოლა, მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლა. წელს პირველი ნაკადი გამოუშვა ტექნიკურმა სასწავლებელმა, სადაც საშუალო სკოლადამთავრებული ჭაბუკები და ქალიშვილები საშენებლო და სამთო საქმეში ოსტატდებიან.

ქალაქს აქვს საავადმყოფო, ორი საბავშვო ბაღი და საბავშვო ბაგები, ოთხი სასადილო, მაღაზიები, პურის ქარხანა, კლუბი, რადიოკვანძი, სამი ბიბლიოთეკა, ფოსტა, ტელეგრაფი, შემნახველი სალარო, გადახურული ბაზარი.

მეექვსე ხუთწლედში აქ კიდევ გაიხსნება რამდენიმე მაღაზია, ერთი საშუალო სკოლა, პიონერთა სასახლე, მუსიკალური სკოლა, ბავშვთა ბაგები და სამავშვო ბაღი, ავტოსახელოსნო, სატელეფონო სადგური. მთავრდება ახალი კინოთეატრისა და სასტუმროს მშენებლობა. მდინარე ტოპლი კოლოდეზზე აშენდება ხიდი. პატარა გუბარას ადგილზე შეიქმნება დიდი წყალსაცავი. მის მომავალ ნაპირზე უკვე შენდება ახალი სტადიონი.

ახლოთია დღეანდელი დღე ახალი ქალაქისა, რომლის მეშახტეებმა სიბარულით შეიტყვეს, რომ პარტიის XX ყრილობის დირექტივებით „ურსკი-ბელგოროდის სამადნეოს რაიონში მწყობრში ჩადგება ახალი მაღაროები.

ა. ჯაკაროვი.
(საკდესი).

ქ. გუბკინი,
ბელგოროდის ოლქი.

ყამირის ახალმოსახლეთა ახალი შევსება

აკმოლინსკი. (საკდესი). რკინიგზის სადგურ პრიშიმიაში ყოველდღიურად მოდიან ახალგაზრდა მექანიზატორები. ამასწინათ აკმოლინსკში ჩავიდა დიდი ჯგუფი ახალგაზრდებისა, რომლებმაც დაამთავრეს ბრიანსკის ოლქის ტრუბჩევის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებელი. ეს სასწავლებელი ყამირ მიწებზე გაგზავნის სულ 3,5 ათას კურსდამთავრებულს. ისინი იმუშაებენ მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის „როსტოვსკის“, „ნახიმოვსკისა“ და „ოტრადნის“ მემინდვრეობის სატრაქტორო ბრიგადებში.

მინდვრის სამუშაოების დაწყების დროისათვის ოლქის ყამირ მიწებზე ჩავა ათი ათასამდე ფართე პროფილის მექანიზატორი, რომლებიც დაამთავრებენ არზამასის, გორკის, პენზის, კიროვისა და სხვა ოლქების მექანიზატორთა სკოლებს.

მრავალდაზგოსანი ა. მალიშევა

ვინსკი. მინსკის სატრაქტორშენაბნის სათრეველი ტრაქტორების საამქროს მრავალდაზგოსანის კომკავშირელ ალექსანდრა მალიშევას სახელი ცნობილია ბელორუსიის ბევრ საწარმოში.

ექვსი წლის წინათ, ლენინგრადის № 12 სახელმწიფო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მან მუშაობა დიწყო ამ ქარხანაში. ეს თავდაპირველ მიიქცია ყურადღება შეუპოვარი ხასიათით, ყოველ ახალისადმი, მოწინავისადმი ბრძოლისადმი. ალიშევა ადვილად ეუფლებოდა ტანკების მუშაობას და ნორმებს გადაჭარბებით ასრულებდა. მაგრამ ახალგაზრდა მუშა არ დაკმაყოფილდა მიღწეულით.

ერთერთ საწარმოო თათბირზე ალექსანდრა მალიშევამ სურვილი გამოთქვა მუშაობა დიწყო რამდენიმე დაზგაზე. ასე გახდა იგი საამქროს პირველი მრავალდაზგოსანი. ქალიშვილი მომსახურებას უწევს ხუთ დაზგას. დეტალების დამუშავების ტექნოლოგიური პროცესის შესწავლისა და ხარისხოვანი ხელაწყოს გამოყენებას შედეგად მალიშევა დროის 95 პროცენტს ანდომებს სამუშაოს. მინ მუშაობას და ყოველდღიურად იძლევა ორ ნორმას.

ამ წარმატებას კომკავშირელმა მიაღწია შეუპოვარი შრომით და სიმარჯვეთა გადალახვით. მას უკვე ბრიგადა მამდევარი ყავს. მარტო სათრეველი ტრაქტორების საამქროში 60-ზე მეტი მუშა მრავალდაზგოსანია.

ყველა მათგანმა გაიზიარა ა. მალიშევის მუშაობის გამოცდილება, რამაც ხელი შეუწყო წარმოების გაუმჯობესებას.

მინსკისა და ბელორუსიის ხალხეურ-ეკონომიკურ გამოფენილებამ გამოიყენა ბრიგადა „მრავალდაზგოსან ალექსანდრა მალიშევას მუშაობის გამოცდილება“, ხოლო ტექნიკური ინფორმაციის სამეცნიერო ბიურომ გამოუშვა ბროშურა ახალგაზრდა ნოვატორის მუშაობის შესახებ.

კომკავშირელ ნოვატორს ალექსანდრა მალიშევას მიეკუთვნა „მინსკის საუკეთესო ფლეგერ“ სახელწოდება.

* * *

სურათზე ალექსანდრა მალიშევა მუშაობს ტანკებსარემონტო დაზგაზე.

ფოტო ბ. მინკოვიჩისა (საკდესი).

პარტიის XX ყრილობის დირექტივებით

გუბკინი — მეექვსე ხუთწლედის ქალაქი —

ჯერ კიდევ ახლახან უდაბური და უკაცრიელი იყო ნაპირები მდინარე ტიოპლი კოლოდეზისა, რომელიც მოკლე გზით მიედინება უძველესი რუსული ქალაქის სტარი ოსკოლის დასავლეთით და თავის წყალს უერთებს მდინარე ოსკოლეცს. მოტიტვლებულ ბორცვებზე მხოლოდ აქა-იქ იყო აღმართული ცალკეული ჭაბურღილები.

პირველი შახტების მშენებლობა, რომელიც სოფელ კოროტკოვის რაიონში დაიწყო, ომის გამო შეწყვეტილ იქნა მხოლოდ 1952 წელს ამოიღეს აქ პირველი მადანი.

პატარა მაღაროს ირგვლივ, სადაც სამუშაო ექსპერიმენტული ხასიათისა იყო და ერთგვარი გამოცდილების მიზნით ტარდებოდა, ახლა ახალი შახტები შენდება. ამ შახტების მახლობლად (კურსკი-ბელგოროდის რაიონის საბადო) აშენდა მეშახტეთა დაბა. ახლახანს იგი ქალაქად გადაკეთდა და გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის აკადემიკოს ი. მ. გუბკინის სახელი ეწოდა.

ახალგაზრდა ქალაქი გუბკინი ჯერ არ არის აღნიშნული გეოგრაფიულ რუკებზე, მაგრამ აქ უკვე იგრძნობა სიცხლსავსე ცხოვრება. სწრაფი ტემპით შენდება საცხოვრებელი სახლები, კულტურულ დაწესებულებათა და საყოფაცხოვრებო საწარმოთა შენობები. მარტო საბინაო-კომუნალური და კულტურული მშენებლობისათვის ახალ ხუთწლედში მთავრობის მიერ ასიგნებულ იქნა 100 მილიონზე მეტი მანეთი — ორჯერ მეტი, ვიდრე დაიხარჯა უკანასკნელ ხუთწლედში.

ქალაქში არის შვიდწლიანი და ორი საშუალო სკოლა, მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლა. წელს პირველი ნაკადი გამოუშვა ტექნიკურმა სასწავლებელმა, სადაც საშუალო სკოლადამთავრებული ჭაბუკები და ქალიშვილები სამშენებლო და სამთო საქმეში ოსტატდებიან.

ქალაქს აქვს საავადმყოფო, ორი საბავშვო ბაღი და საბავშვო ბაგები, ოთხი სასადილო, მაღაზიები, პურის ქარხანა, კლუბი, რადიოკვანძი, სამი ბიბლიოთეკა, ფოსტა, ტელეგრაფი, შემნახველი სალარო, გადახურული ბაზარი.

მეექვსე ხუთწლედში აქ კიდევ გაიხსნება რამდენიმე მაღაზია, ერთი საშუალო სკოლა, პიონერთა სასახლე, მუსიკალური სკოლა, ბავშვთა ბაგები და საბავშვო ბაღი, ავტოსახელოსნო, სატელეფონო სადგური. მთავრდება ახალი კინოთეატრისა და სასტუმროს მშენებლობა. მდინარე ტიოპლი კოლოდეზზე აშენდება ხიდი. პატარა გუბურას ადგილზე შეიქმნება დიდი წყალსაცავი. მის მომავალ ნაპირზე უკვე შენდება ახალი სტადიონი.

ასეთია დღევანდელი დღე ახალი ქალაქისა, რომლის მცხოვრებლებმა სიხარულით შეიტყვეს, რომ პარტიის XX ყრილობის დირექტივებით კურსკი-ბელგოროდის საბადოების რაიონში მწყობრში ჩადგება ახალი მაღაროები.

ა. მაკაროვი.
(საკ. ფსი).

ქ. გუბკინი,
ბელგოროდის ოლქი.

ყამირის ახალმოსახლეთა ახალი შევსება

აკმოლინსკი. (საკ. კორ.). რკინიგზის სადგურ პრიშიმიაში ყოველდღიურად მოდიან ახალგაზრდა მექანიზატორები. ამასწინათ აკმოლინსკში ჩავიდა დიდი ჯგუფი ახალგაზრდებისა, რომლებმაც დაამთავრეს ბრიანსკის ოლქის ტრუბჩევის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებელი. ეს სასწავლებელი ყამირ მიწებზე გაგზავნის სულ 3,5 ათას კურსდამთავრებულს. ისინი იმუშავებენ მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის „როსტოვსკის“, „ნახიმოვსკისა“ და „ოტრადნის“ მემინდვრეობის სატრაქტორო ბრიგადებში.

მინდვრის სამუშაოების დაწყების დროისათვის ოლქის ყამირ მიწებზე ჩავა ათი ათასამდე ფართე პროფილის მექანიზატორი, რომლებიც დაამთავრებენ არზამასის, გორკის, პენზის, კიროვისა და სხვა ოლქების მექანიზატორთა სკოლებს.

ხალხთა ურღვევი მეგობრობა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების წყაროა

ფიქრები მეგობარზე

არის ფიქრი, რომელსაც ვერვინ მიგიხვდება მეგობრის მეტი; არის ოცნება, რომელსაც მის გარდა სხვას ვერვის გაუზიარებ. ზოგჯერ მშობლებსაც კი დაუმალავ შენი გულის საიდუმლოებას, მაგრამ მეგობარს კი არასოდეს. ვისაც მეგობარი არა ჰყავს, იგი სულით ობოლია.

დედ-მამით ობოლს სულით ობლობა არ მიგრძვნია. ბავშვთა სახლში მეგობრული სითბო და მშობლიური ალერსი არ მომკლებია. მაგრამ როცა დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე გამოველ, შევკრთი. მეგობარი, რომელსაც ადამიანის ცხოვრების დამამშვენებლად ვთვლიდი, გვერდით არ მყავდა.

ახლაც კარგად მახსოვს ის დღე, საბავშვო სახლის აღმზრდელმა დეიდა ვერამ თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში რომ მომიყვანა. ანდა როგორ არ მემახსოვრება — მაშინ ხომ ცხოვრებას თვალებში პირველად ჩავხედე.

საერთო საცხოვრებლის იმ ოთახში, მე რომ ვცხოვრობდი, კარგი გოგონები იყვნენ. ვისმეს რომ მოწყენილი დავენახე, არ მომეშვებოდა, სანამ ჩემს სახეზე ღიმილს არ ნახავდა. აბა, სახე რად ჩამოგტირის, — დამიძახებდა მუდამ მხიარული კატია სოლოვიოვა, — გაიცინე!

კატიას ჩემს საწოლზე ჩამოჯდომა უყვარდა, ხშირად ძილის წინ ჩამოჯდებოდა ხოლმე ჩემთან და საბავშვო სახლზე მკითხავდა. თვითონაც საბავშვო სახლიდან იყო და ამიტომ აინტერესებდა იქაური ამბები. შემდეგ თავის ცხოვრებაზე მომიყვებოდა, ვუსმენდი და მიკვირდა, როგორ საოცრად ჰგავდა ერთმანეთს ჩვენი ცხოვრება.

— მოეშვი, — შეუტევდა ხოლმე ზოია სონოვა, — დააძინე ბავშვი. და მხოლოდ მაშინ გაბრუნდებოდა თავის საწოლისკენ კატია.

როცა ისინი ჩემზე ლაპარაკობდნენ, ყოველთვის ბავშვს მიწოდებდნენ. ხნოვანებით მათთან შედარებით ბავშვი ვიყავი, 16 წლის. ჩემს მიმართ მათი მზრუნველობა დედობრივი იყო.

მე მათთან ერთად ვმუშაობდი სართავ საამქროში, კატია და ზოია მოწინავე მუშები იყვნენ, საწარმოო ხასიათის დახმარება ბევრჯერ გაუწევიათ ჩემთვის.

ხშირად, როცა ზოია სამუშაოს დაამთავრებდა, ჩემთან მოვიდოდა და მანქანის გასუფთავებასა და წესრიგზე მოყვანაში მშველოდა. იქამდე არ წავიდოდნენ საამქროდან, ვიდრე მეც არ მოვრჩებოდი საქმეს. შემდეგ კი ყველანი ერთად ვბრუნდებოდით შინ. სახლში მისვლისას უცბად დატრიალდებოდნენ, სადილს გაამზადებდნენ და იწყებოდა გაუთავებელი პატიჟი — გადაიღე, ჭამე.

ასე კარგები იყვნენ ისინი ჩემთან ურთიერთობაში, მაგრამ ერთმანეთთან განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ — განუყრელი მეგობრები იყვნენ. თუ ნახავდით სადმე ზოიას, კატიას მოძებნა არ გაგიჭირდებოდათ — აუცილებლად იქ იქნებოდა. ცალკე ისინი არასოდეს არ დადიოდნენ. ზაფხულობით, როცა ზოია რუსეთში მიდიოდა მშობლებთან, კატიაც თან მიჰყვდა და შვებულებას ერთად ატარებდნენ.

ქალიშვილები თანდათან ზრდიდნენ თავიანთ საწარმოო მაჩვენებლებს და აგულიანებდნენ კიდეც ერთმანეთს, არ ჩამომრჩეო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გაუფორმებლად, როგორც ამბობენ, „ვალდებულების“ აღების გარეშე. მაგრამ ისინი მეგობრობაშიც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს — თვითეული ცდილობდა რაც შეიძლება მეტი გაეკეთებინა მეორისათვის. ერთმანეთზე ზრუნვა არასოდეს არ ბეზრდებოდათ. მათი ეს მეგობრობა ჩემს თვალწინ იშლებოდა, შევყურებდი და შევნატროდი. ვოცნებობდი მეც მათი მსგავსი მეგობარი მეშოვნა. და აი, შენც შეგხვდი!

ეს იყო მაშინ, სამლებრო-დამხარისხებელ საამქროში რომ გადმომიყვანეს. ჩემს ახლოს შრომობდი, აღტაცებული ვიყავი შენი სწრაფი მუშაობით, მადლობელი ვრჩებოდი, როცა მეხმარებოდი და მასწავლიდი. ორივენი ერთი ხნის ვიყავით და ორივეს დიანა გვერქვა. როცა ამ სახელს დაიძახებდნენ საამქროში, ორივენი თავს ავწევდით ხოლმე. ნარულინა — დაუმატებდნენ მაშინ, როცა შენ გეძახდნენ, დიაკონაშვილი — მომმართავდნენ მე. საქმეში სერიოზულსა და დინჯს, ხასიათი მხიარული და დაუდეგარი გქონდა. სწორედ შენი ბუნების ეს ორი შერწყმული მხარე მომწონდა. გული შენსკენ მეწეოდა, უფრო მეტ სიახლოვეს ეხოულობდა. სულით მონათესავე ადამიანები ადვილად პოულობენ ერთმანეთს და ჩვენც ასე დაგვემართა.

მახსოვს, სულ პირველად, სამუშაოს შემდეგ რომ მომიახლოვდი და მთხოვე, კინოში წავიდეთო. კინოდან დაბრუნების შემდეგ დიდხანს არ დამეძინა და ვიგონებდი ჩვენს საუბარს ნანახ ფილმზე, შენს აზრებს და მიკვირდა, როგორ ჰგავდა ისინი ჩემსას.

მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლაშიც ერთად დავდიოდით. თუმც სხვადასხვა კლასში ვიყავით, მაგრამ ჩვენი მეგობრობა სკოლის კედლებშიც არ წყდებოდა. რა სიამოვნებით მეხმარებოდი ალგებრაში, როგორ ცდილობდი სწორად გამომეთქვა რუსულ ენაში მოცემული გაკვეთილი. სამაგიეროდ შენ ქართული მასწავლეო, — მეუბნებოდი. და მეც ხალისით ვასრულებდი შენს თხოვნას.

რამდენი სიხარული მოგინიჭებია ჩემთვის! რა ტკბილად მახსენდება ერთერთი სიხარულის დღე — 3 ივლისი! ეს ჩემი დაბადების დღე იყო. მართალი გითხრა, არ ვიცოდი, მოხვიდოდი თუ არა. რატომღაც ვიფიქრე, რომ შეიძლება დაგვიწყებოდა. მაგრამ მოხვედი ჩემთან და მე ვინანე, რომ ამ გაფიქრებით ჩრდილი მივაყენე ჩვენს მეგობრობას. შენ ყველაზე მეტს მხიარულობდი ჩვენს მცირერიცხოვან სუფრაზე და ამას კიდეც ჰქონდა გამართლება — ყველაზე ახლობელი მეგობარი იყავი ჩემთვის.

და განსაკუთრებით კიდევ ერთი მინდა მოვიგონო — ჩემი პირველი სტუმრობა შენს სახლში.

— დიანა, არ წამოხვალ ჩემთან? ჩემი გადმოცემით ჩვენები კარგა ხანია გიცნობენ, მაგრამ შენი პირადად ნახვა ძალიან უნდათ.

და მეც წაგყევი.

რა გულთბილად შემხვდა დედაშენი. აღარ იცოდა როგორ ეცა პატივი, რითი გამმასპინძლებოდა. სამართლიანი იყო მისი საყვედური, რომ აქამდე შენთან არ მოვსულვარ. როგორ გულით მთხოვა — ხშირად გვეწვიეო. მან იმდენი სითბო და მზრუნველობა გამოიჩინა ჩემდამი, რომ, გამოგიტყდები, გავიფიქრე: ნეტა დედაჩემი იყოს-მეთქი!

... ამასწინათ საამქროში გამოკრულ საპატიო დაფასთან რომ ჩავიარეთ, შენი სურათი დავინახე და შევჩერდი, შენ კი თავი გააქნიე და მითხარი: — მე მინდა, რომ ამ დაფაზე ჩემს გვერდით შენც იყო.

მე მესმის შენი, მეგობარო, და აგისრულებ ამ სურვილს.

გასული თვის საწარმოო მაჩვენებლები რომ შევიტყეთ, შენ კმაყოფილი დარჩი — გეგმა 186 პროცენტით გქონდა შესრულებული. ჰოდა, როცა გაიგე, რომ მე თვის გეგმა 174 პროცენტით შევასრულე, თუმცა არაფერი გითქვამს, მაინც მიგიხვდი — გაგეხარდებოდა, მეც რომ შენნაირი მაჩვენებელი მქონებოდა, და კიდევ უფრო გაგეხარდებოდა, თუ გაგასწრებდი.

უკვე გვიან არის, შენ, ალბათ, კიდეც გძინავს, მეკი ჩვენს მეგობრობაზე საამო მოგონებას გავყევი და იგი გაზეთის თანამშრომელს გავუზიარე. მასში ჩემი გულის მხურვალება ჩავაქსოვე და, იცოდე, იგი შენ გეკუთვნის, ჩემო კარგო მეგობარო!

ლ. კაკაბაძე.

ზემო სვანეთში

(ეთნოგრაფის შთაბეჭდილებანი)

ბევრ მოგზაურსა და მკვლევარს აუწერია სვანეთი. განსაკუთრებით კი ზემო სვანეთი, რომელიც საქართველოს ერთერთი მეტად ლამაზი კუთხეა! თუ ვინმეს ერთხელ მაინც უნახავს სვანეთი, ძნელია მისი დავიწყება. ცადაზიდული მყინვარები და ტყით დაბურული მთის კალთები, აქაფებული მდინარეები, მობიბინე იალაღები, ძველი სვანური ციხე-კოშკები თავიხებურ ეშხს აძლევენ ამ წარმტაც მხარეს, სადაც ცხოვრობენ გამრჯე, პურადი, გულადი და უძველესი კულტურის მქონე სვანები.

ზემო სვანეთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ორ ნაწილად იყოფა: ბალს ქვემო და ბალს ზემო. ამ ორი პატარა ნაწილის გეოგრაფიულ საზღვრად ბეჩოსა და ლატალის თემებს შორის აზიდული მთა ბალი არის მიჩნეული.

ბალს ზემო სვანეთის პირველი თემი ლატალია (ძველებური დაყოფით). აქ ერთმანეთს უერთდებიან უშბასა და შხარას მხრიდან მომდინარე თეთრი და შავი ენგური, რაც მეტად ლამაზ სანახაობას ჰქმნის. უზარმაზარი მყინვარი ლაჰილი და ტყით დაფარული მთის კალთები თავზე დაჰყურებენ პატარა საკოლმეურნეო სოფელს. სახნავ-სათესი მინდვრებითა და სათიბებით გარშემორტყმული ლატალი დამშვენებულია ახალი ტიპის საცხოვრებელი სახლებით და კულტურულ-საზოგადოებრივი ნაგებობებით, რომელთა შორის შენიშნავთ ძველ სვანურ სახლებს, კოშკებსა და ეკლესიებს.

ლატალიდან გზა ლენჯერის თემისაკენ მიდის. ცოტაც და მესტიაში შეხვალთ.

სახე იცვალა ძველმა მესტიამ. თუმცა აქაც დაინახავთ აქა-იქ ძველ სახლებსა და კოშკებს, მაგრამ მათ დიდი ხანია გზა დაუთმეს ახალს, ძლიერ სოციალისტურ მშენებლობას. ყველგან ეტყობა გამრჯე საბჭოთა ადამიანის ხელი. მესტიას ამშვენებენ კაპიტალურად ნაგები ორსართულიანი შენობები — საზოგადოებრივი, ადმინისტრაციული თუ კულტურული დაწესებულებები, კეთილმოწყობილი ბაღი და ქუჩები, მოასფალტებული მოედანი. მესტიაშივეა გამართული აეროდრომი, რომლითაც ზემო სვანეთი საქართველოს სხვა კუთხეებთან უმოკლესი გზით არის დაკავშირებული.

აღსანიშნავია ერთი ფაქტი: მესტიაში ათი წლის წინათ საფუძველი ჩაეყარა თბილისელი, მესტიელი, მოსკოველი და ტუშინოელი პიონერების ურყევ მეგობრობას და მეგობრული კავშირის ათი წლისთავი სწორედ მესტიაში აღნიშნეს ქართველმა და რუსმა პიონერებმა.

იყო დრო, როცა სვანეთს საკუთარი ინტელიგენცია არ ჰყავდა. დღეისათვის სვანი სპეციალისტები საქართველოს სხვა შვილებთან ერთად საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე რიგებში დგანან. ინჟინრებით, თუ ექიმებით, გეოლოგებით თუ მასწავლებლებით მდიდარია დღევანდელი საბჭოთა სვანეთი. სვანი სპეციალისტები თავიანთი პატარა კუთხის დიდი პატრიოტები არიან. განათლების მიღების შემდეგ უმრავლესობა მშობლიურ კუთხეს უბრუნდება. ესენი არიან ახალგაზრდა ისტორიკოსი გ. ფილფანი და ახალგაზრდა ფილოლოგი ც. ჩართოლანი, მშენებლები და კიდევ სხვები, რომელთაც მიაშურეს სვანეთს.

სვანეთში შენდება საავადმყოფოები, სკოლები, კლუბები, სამკითხველოები, ელექტროსადგურები, ხიდები. გაჰყავთ ახალი გზები. მიწის წიაღიდან ამოაქვთ მარმარილო, კირქვა და საშენი ფიქალი, ამზადებენ ხეტყეს. ახალმა, საკოლმეურნეო ყოფამ ნათელი ცხოვრება მოუტანა ზემო სვანეთის მშრომელებს. მაგალითისათვის კმარა სოფელი კალა, რომელიც გაშენებულია ენგურის სათავეში. მართალია, კალის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის სახნავ-სათესი მიწა ძალიან მცირე აქვს (სულ 60 ჰექტარი) მთაგორიანობის გამო, მაგრამ მიუხედავად ამისა, კალელებმა მოკლე ხანში სვანეთის პირობებისათვის უმაგალითო შედეგებს მიაღწიეს: შეჰქმნეს წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ფერმა, რომლისთვის სპეციალურად ააშენეს ორი ახალი კაპიტალური შენობა; დაწყებულია სვანეთის კლიმატური პირობებებისთვის სრულიად უცხო მებაღეობისა და მებოსტნეობის გაშენება. აქაური კარტოფილი 1,5 კილოგრამს აღწევს, ხოლო კომბოსტო კი 5-6 კილოგრამს. ეს ვარეშოება მისაბაძი უნდა გახდეს საქართველოს სხვა მაღალმთიანი ზოლის მოსახლეობისათვის. კალელები ურწყავ მიწებზე ძირითადად თესენ 20 ჰექტარ პურს, 11 ჰექტარ ქერს, 25 ჰექტარ კარტოფილს, 3 ჰექტარ ჭვავს, 3 ჰექტარ შვრიას.

მოკლე ხანში კალელმა კოლმეურნეებმა ააგეს სკოლის შენობა, საავადმყოფო, ხე-ტყის სახერხი ქარხანა და ელექტროსადგური. რადიოსატრანსლაციო ქსელთან ერთად საკუთარი რადიოკვანძიც მოაწყვეს. სვანეთში პირველად კალელებმა ჩამოიტანეს პურის სალეწი მანქანა, რომელიც დიდად ეხმარება კოლმეურნეებს მოსავლის აღებაში. ამ წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანეს მოწინავე კოლმეურნეებმა კ. ფანგანმა, ს. მარგველანმა და სხვებმა. მათი თავდადებული შრომით ამ პატარა საკოლმეურნეო სოფელმა მთელს სვანეთში გაითქვა სახელი.

თ. ჩიქოვანი,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.